30 ს ნოემბერს. წელიწადი მესამე. 1885 წელსა.

# მწყემსი

№ 23.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

на 1886 годъ (41-й годъ изданія).

**Въ 1886 году газета „КАВКАЗЪ“ будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.**

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

| съ доставкою въ Тифлисѣ. | | СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ по Имперіи | по почт. союзу |
|---|---|---|---|
| На годъ. . . | 11 р. 50 к. | 13 р. . . . | 18 р. 40 к. |
| » полгода. | 6 р. — | 7 р. . . . | 10 р. — » |
| » 3 мѣсяца. | 3 р. 50 к. | 4 р. . . . | 6 р. — » |
| » 1 мѣсяцъ. | 1 р. 50 к. | 1 р. 75 к. | 2 р. — » |

Подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова.

Для иногор. адресовать: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ“. (5—2)

## საქართველოს საექსარხოსოში ღვთის-მშობლის სახელობაზე დაარსებული ახალი ძმობის შესახებ.

ჳთს ნოემბერს, როგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა, თფილისში მოხდა პირველი სხოდმა ღვთის-მშობლის სახელობაზე დაარსებულის ძმობისა თვითონ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის პავლეს თავს-მჯდომარეობით. ამ ძმობის შესახებ ჩვენს გამოცემაში ბევრი რამ იყო დაწერილი და გამოთქმული, მაგრამ ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება ისე დიდად მიგვაჩნია ჩვენ, რომ კიდევ ბევრ-ჯერ შეგვხდება ჩვენ წერა და ლაპარაკი ამ ძმობის შესახებ.

ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენ აწმყო ცხოვრებას, ის, რასაკვირველია, შენიშნავს ერთს სამწუხარო ფაკტს—ჩვენი ხალხის სარწმუნოებრივ გულგრილობას და სარწმუნოებრივ მოვალეობის აღუსრულებლობას. ეს სამწუხარო მოვლენა თან-და-თან ვრცელდება როგორც მაღალ-წოდებაში, ისე მდაბალ ხალხში. ეკკლესიასა და საზოგადოებას შორის აღარ არის ის ერთობა, რომელიც ნიადაგ ამაგრებს ხალხში ქრისტეს სარწმუნოებას, რომელიც ნიადაგ გონივრულად შეათვისებინებს კაცს ქრისტიანულ

სარწმუნოების დოღმატების სწავლას და რომელიც ყოველ კაცს დააყენებს ჭეშმარიტ გზაზე. ეკკლესიები ღვთის-მსახურების დროს ცარიელნი არიან. რასაკვირველია, ჩვენს ეკკლესიებში ეხლაც ხედავთ თქვენ ხშირად არა ერთს, ათს და ოცს მლოცველს, მაგრამ არა იმდენს, რამდენსაც ხედავდა კაცი წინა დროებში. ეკკლესიასა და საზოგადოებას შორის ძველი სანატრელი კავშირის სამაგიეროდ არსებობს რაღაცა ოფიციალური დამოკიდებულება. ძველ დროში ყველანი მიდიოდენ ეკკლესიაში ნუგეშის და სწავლის მისაღებად, ლოცვაში ჰპოებდენ ძალას ყოველ გვარ გაჭირებათა დასაძლევად ცხოვრებაში, ეკკლესიაში აიხსნებოდა ყოველივე ეჭვი მორწმუნეთა. ყოველი კაცი ღვთის სახლში ეძიებდა ყოველ გაჭირების და უბედურების დროს ნუგეშს... ეხლაც მრავალნი მიდიან ეკკლესიებში, მაგრამ არა სალოცავად, არამედ მიდიან ეკკლესიაში ბავშის მოსანათლავად, გვირგვინის საკურთხად და დასამარხავად გადაცვალებულ ნათესავთა და ნაცნობთა. ამისთანა შემთხვევებში სხვა მრავალ ხალხსაც ხედავ კაცი ეკკლესიაში, მაგრამ ეს ხალხი მიდის იქ საყურებლად, ტყუილ-უბრალოდ. კვირას ანუ რომელიმე დღესასწაულ დღეს სრულდება ეკკლესიაში საღმრთო ლიტურღია, სადაც წარმოითქმება ხოლმე სიტყვა-მოძღვრება. ეკკლესიაში თქვენ ხედავთ ერთ ოციოდე კაცს. მოჰკრა საზოგადოებამ ყური, რომ ამ ეკკლესიაში სალამოზე იქმნება გვირგვინის კურთხევა. ამ დროს ეკკლესია გაჭედილია ხალხით. მასში აღარ არის ადგილი, რომ მღვდელმა თავისუფლად გაიაროს და მღვდელ-მოქმედება შეასრულოს. ვინ არის ეს ხალხი, ან რისთვის მოსულა ეკკლესიაში? ეს ხალხი ღირსია, რომ ბაწრის შოლტით იქმნეს გამორეკილ ეკკლესიიდამ ისე, როგორც მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ გამორეკა ეკკლესიიდამ ურიები, რომელნიც თავის მოქმედებით ბილწავდნენ ღვთის-სახლს—იერუსალიმის ტაძარს...

როდესაც ჩვენ ეკკლესიებში ასე მცირე ხალხს ვხედავთ სალოცავად მოსულს, ამავე დროს, სამწუხაროდ, მრავალი ხალხია შეკრებილი დუქნებში და სხვა ადგილებში დროს გასატარებლად და სხვა-და-სხვა სამარცხვინო მიზნით.

ხალხი, განსაკუთრებით გაუნათლებელი, შეპყრობილია სხვა-და-სხვა მავნებელ ამაოდ მორწმუნოებით და ღარიბია თავისი სარწმუნოების სწავლით. ეს ცხადად გამოხატულია ექსარხოსის მოწოდებაში, რომლითაც იგი მიიქცა სამღვდელო და საერო წოდებათადმი. უქონლობა სარწმუნოებრივ ცოდნათა, სხვა-და-სხვა გვარი ცრუ-მორწმუნეობანი, ცუდი ზნენი, რომლებიც შენიშნულია ძველიდგანვე მართლ-მადიდებელ ხალხში, ბრძანებს მაღალ-ყოვლად სამღვდელო, ითხოვენ დაუყოვნებლივ ნამდვილს ზომებს მათ მოსასპობლად, როგორც სამღვდელოების მხრით, აგრეთვე ყველა ჭეშმარიტი სარწმუნოების და მართლ-მადიდებელი ეკკლესიის კეთილ-დღეობის მოშურნეთაგან.

ამისთანა სამწუხარო მოვლენის განსარინებლად საჭიროა გავრცელება ხალხში ეკკლესიური და სასულიერო სწავლისა ქადაგებითი სიტყვით. აღდგენისა და გავრცელებისათვის ხალხში რელიგიური სწავლისა, ამაღლებისა და განმტკიცებისათვის ზნეობრივი სწავლისა დაარსა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პავლემ ეს ძმობა. იმედია, რომ ეს ძმობა მისი ხელმძღვანელობით დიდ სარგებლობას მოიტანს.

ამ ძმობის მოვალეობას, სხვათა შორის, შეადგენს ხალხში საუბრების გამართვა, ამიტომ სასურველია, რომ ეს საუბარნი სწარმოებდნენ გასაგები ენით ყველა ხალხისათვის. რამდენად ადვილი გასაგები იქნება ეს საუბრები და მოძღვრებანი მსმენელთათვის, იმდენად მეტ სარგებლობას, მეტს ნაყოფს უნდა მოველოდეთ ძმობის მოქმედებისაგან. ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა, მამა დეკანოზმა პავლე ჩუდეცკიმ მშვენიერი წინადადება მისცა კრების რჩევას შესახებ იმ საგნებისა, თუ რაზედ და როგორ გამართონ მათ საუბრები ხალხთან. «ახსნა და განმარტება ხალხისათვის გაუგებელ ბუნების მოვლენათა, განაგრძო მან, გამტყუნება ხალხის ამაოდ მორწმუნეობათა და მავნებელ ცუდ ჩვეულებათა, რომელთაც ცუდი გავლენა აქვსთ ხალხის ზნეობაზე, რომელნიცა რყვნიან და ურევენ მათ ჭეშმარიტ შეხედულებას და ცნობას, გამტყუნება ყოველ გვარი სარწმუნოებრივ შეცთომათა, აი ის საგნები, რომლებზედაც უნდა გაუმართოს სამღვდელოებამ ხალხს საუბრები. ამასთან ზოგიერთი მოულოდნელი შემთხვევანი:—ომი, ჭირი, აგრეთვე ადგილობრივი შემთხვევითი მოვლენანი, როგორც მაგალითებრ: ცეცხლის გაჩენა, ცუდი მოსავალი, ეკკლესიის აღშენება, სკოლის გახსნა, მოწოდება ხალხის შრომისა და საზოგადო დახმარებისადმი საზოგადო უბედური შემთხვევის დროს, ყველა ესეები შეადგენენ საუბრების საგანს, რომლებზედაც საჭიროა და სასარგებლო საუბრის გამართვა მწყემსთაგან ხალხში.» ერთის სიტყვით მამა რექტორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი პლანი აქვს სახეში საუბრების გამართვის შესახებ და ღმერთმა ჰქნას, რომ ეს მისი პლანი და კეთილი მოსაზრებანი მოყვანილ იქმნენ სისრულეში.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! მორჩილად გთხოვთ ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთ «მწყემსში»». ორი წელიწადი გავიდა, რაც თქვენ პატივცემულ გამოცემას ვიწერთ. ამ დროის განმავლობაში ყველა საშუალება ვსცადეთ, რომ გაზეთი თავთავის დროზე მიგვეღო ხოლმე. ამ უკანასკნელ დროს ჩვენის თხოვნით იასოულებს მოჰქონდათ ეს გაზეთები სოფლის კანცელარიებში; გვეგონა ამ სახით გაზეთს უფრო დროზე მივიღებდით, მაგრამ ჩვენს ფიქრში მოვსტყუვდით. მაინც თავის დროზე ვერ ვიღებთ გაზეთებს და, როდესაც მივიღებთ, მივიღებთ ხოლმე გახსნილს, გასვრილს და რამდენჯერმე სხვისგან წაკითხულს. წაკითხვამ თქვენი ჭირი წაიღოს, ოღონდ დახეულს არ გვაბარებდენ და იმასაც ძლიერ გვიან. მომავალი წლიდამ, როგორც გვპირდებით, თითქმის თითოეულ კვირაში გამოვა «მწყემსი». რამდენად სასარგებლო არის ამ გვარი გამოცემა ჩვენი სამღვდელოებისათვის და რამდენად საჭიროა მღვდლისათვის მიყრუებულ სოფლებში ამისთანა გამოცემა, ამის დამტკიცება, ვგონებ, საჭირო არ არის. დღემდის ჩვენ ერთ წლამდე ვერ შევიტყობდით ხოლმე მთავრობის განკარგულებას. წარმოიდგინეთ, რომ უმაღლესად გამოცხადებული მანიფესტები ხან-დის-ხან ერთ წელს იქით ეცხადება ხოლმე სამღვდელოებას სოფლებში. ამას წინეთ ომიანობის გამოცხადებაზე უმაღლესი მანიფესტი ზოგიერთ სოფლებში მაშინ გამოცხადდა, როდესაც ომიანობა თითქმის გათავებული იყო! ხშირად რუსულად იგზავნებოდა ხოლმე სხვა-და-სხვა განკარგულებანი, რომლების სამღვდელოებას არა ესმოდა რა. დღეს, მადლობა ღმერთს, ამ გვარ გაუგებლობას აცილებელია ყველა ჩვენი მღვდლები. მაგრამ საქმე ის არის, რომ რა საშუალებით უნდა ვიღებდეთ ამ ჩვენთვის სასარგებლო გამოცემას. ბლაღოჩინები ამ გაზეთის მიღებას და დარიგებას არ იღებენ თავზე. შეუძლია, თუ არა, ამ შემთხვევაში უარი უთხრას ბლაღოჩინმა თავის სამღვდელოებას გაზეთების დარიგებაზე? ჩვენის აზრით ბლაღოჩინს არა აქვს ნება გაზეთის მიღებაზე და დარიგებაზე უარი განაცხადოს. ბლაღოჩინებს მათი ინსტრუკციის ძალით ნება აქვსთ თავიანთი საბლაღოჩინოის მედავითნენი თითო კვირაობით რიგით იყოლიონ თავისთან საჭირო ქაღალდების სატარებლად. ზოგან მედავითნენი ფულს იხდიან და აძლევენ ბლაღოჩინს კაცის დასაქირავებლად და ან თვითონ მედავითნენი ქირაობენ ერთ კაცს, რომელიც ცხენით ბლაღოჩინთან არის ნიადაგ. რას აკეთებენ ეს კაცები? ნუ თუ ამ კაცების ვალი არ არის ის, რომ ათ დღეში ერთჯერ გაზეთები დაგვირიგოს სამღვდელოებას? ამ გაზეთებში ხომ, სხვათა შორის, მთავრობის განკარგულებანი იბეჭდებიან და რატომ არ უნდა დაურიგონ სამღვდელოებას ამისთანა განკარგულებანი ბლაღოჩინებმა? *) ჩვენის აზრით არა თუ უარის თქმა არ შეუძლიათ ბლაღოჩინებს ამ გაზეთის დარიგებაზე, არამედ პირდა-პირი მათი მოვალეობაა, რომ ეს გაზეთები მათ მიიღონ ფოჩტებიდამ და დაურიგონ სამღვდელოებას. თუ ეს ასე მოხდება, მაშინ ჩვენ შეგვეძლება ყოველივე მალე შევიტყოთ და მალე ვაცნობოთ ხალხსაც. იმედი გვაქვს, რომ ამაზე სასულიერო მთავრობაც მოახდენს განკარგულებას. ამასთან ჩვენ არ გვჯერა, რომ ერთად ჩვენთან ჩვენი მოძმენიც ამის თანახმანი არ გახდენ.

მღვ. ლენტორ წერეთელი.

## ლეჩხუმიდამ.

როგორც მოგეხსენებათ, წელს ჩვენს მაზრას ერთი მეორეზედ მიყოლებით ეწვივნენ ჩვენის ქვეყნის სასულიერო და საერო საქმეების მთავარ-გამგებლები. ივლისის თვის დასასრულში მობრძანდა ლეჩხუმში ჩვენის გუბერნიის უფროსი ადმინისტრა-

*) ყველა ბლაღოჩინებზე არ ითქმის ეს. მრავალი ბლაღოჩინებია, რომელნიც დღემდინაც ურიგებდნენ გაზეთებს თავიანთ საბლაღოჩინო მღვდლებს. მაგალითებრ: მმ. ბლაღოჩინები: ს. ანჯაფარიძე, ე. მაჭარაძე, ს. ელიავა, ნ. კუბანეიშვილი, გ. ბერიძე, ი. გერსამია, ო. კაჭახიძე, ლ. ჭიპაშვილი, ე. ვეფხვაძე, მ. მჭედლიძე, ზ. გძელიევი, დეკანოზი ს. ბეგიევი, ს. ყიფშიძე და ესენი დღესაც ასე იქცევიან. ძლიერ გვიკვირს, რომ ზოგიერთი ბლაღოჩინები უარს აცხადებენ ამ გამოცემის დარიგებაზე.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი, გენერალი სმეკალოვი, რომელმანაც გაიცნო ჩვენი საზოგადოება, მისი ავი და კარგი, ლხინი და დარდი, უყო რევიზია მაზრის სამმართველოს, აღუთქვა დახმარება და შემწეობის აღმოჩენა საზოგადოებას ყველა იმ საგნებში, რომელშიაც უფრო საჭიროდ აჩვენეს მას და დაბრუნდა უკან. მარიამობის თვის მეორე ნახევარში მობრძანდა აგრეთვე ზემოხსენებულს მაზრაში რევიზიისათვის, ჩვენის ერის გონებითი გამდიდრების, ზნეობითი აღმაღლების და გაკეთილშობილების, უმაღლეს რელიგიურ სწავლა-მეცნიერების გაცნობისა და, შთანერგვისათვის ოცდა-ხუთის წლის განმავლობაში დაუსვენარი მოღვაწე, ჩვენი დიდებული მწყემსთ-მთავარი გაბრიელი. თუმცა ამ შესანიშნავის მღვდელთ-მთავრის მოგზაურობაზედ ბევრი რამ დაიწერა «მწყემსის» ფურცლებზედ, მაგრამ მე მაინც ვერ ვახერხებ, ცოტა ხანს მაინც არ ვესაუბრო ამ საგანზედ ჩვენს მკითხველს. საზოგადოთ ჩვენი ხალხი ყოველთვის აღტაცებით ეგებება ეპისკოპოსს გაბრიელს. ყოველთვის დიდი მხიარულება და მისწრაფება ემჩნევა ხალხს დიდიდამ პატარამდის, სწავლულიდამ უსწავლელამდის, როდესაც ამ არა ჩვეულებრივი სულიერი მამის მოსვლასა და მოძღვრების მოსმენას მოელიან, მაგრამ ამ უკანასკნელს შეგებებას უფრო განსხვავებული ფერი სდევს, უფრო საყურადღებო რამ ხდება, ძნელი წარმოსადგენია და უფრო ძნელი და თითქმის შეუძლებელი ხდება ქაღალდზედ დახატვა იმ აღტაცებული და უსაზღვრო მხიარულებისა, რომლითაც თითოეული კუთხის მცხოვრებლები ჩვენის მაზრისა მიეგებენ თავის მაღალ ღირსებებით შემოსილს მწყემსთ-მთავარს. როგორც მაღალი წოდება, გონება გახსნილი პირები, რომელთაც შეგნებული აქვსთ ეპისკოპოსის მაღვაწეობის ღირსება და ფასი, ისე დაბალი წოდების ხალხი—გლეხ-კაცობა ორთავე სქესისა; და თვით პატარა ბოვშებიცკი რაღაც წარმოუდგენელის სულიერის მხიარულებითა და კმაყოფილებით აღფრთოვანებული ეგებებოდნენ მისს მეუფებას. ერთი მეორეს ეჯიბრებოდა ხოლმე შესახებ მისა, რომ ერთს მეორისათვის მიესწრო და უწინ გამხდარიყო ღირსი ამ წმიდა მამის, წმიდა ღვაწლით შემოსილის მარჯვენის მთხვევისა და მისი ლოცვა კურთხევის მიღებისა. ეპისკოპოსი, ჩვეულებრივად, თითოეული თვისი სულიერის შვილის სურვილსა და მისწრაფებას აძლევდა კმაყოფილებას. ის საკმაო ხანს ჩერდებოდა ხოლმე შეკრებილ ხალხში, აძლევდა მათ ლოცვა კურთხევას, ჰქადაგებდა, მოძღვრიდა მათ იმ მაღალ გონივრულის, და მჭევრ-მეტყველებით შემოსილ სიტყვებით, რომლითაც ეს იშვიათი მქადაგებელი ოცდა ხუთის წლის განმავლობაში ჰქადაგებს მაცხოვრის სამეფოში, სწვრთნის და ამზადებს თავის წილად ხდომილს სულიერს სამწყსოს კეთილ-ქრისტიანულ, ცხოვრებისა და მიდრეკილებისადმი. ხალხი ყველგან დიდიდამ პატარამდის დიდის მოწიწებით სმენულობდა მღვდელმთავრის დარიგებას და მოძღვრებას. აშკარად ეტყობოდათ მსმენელებს, რომ ეპისკოპოსისაგან მათდამი მიმართული სიტყვები და მოძღვრება არ იკარგებოდა. თითოეული მსმენელის გულის კოლოფის კარი გახსნილი იყო ამ დიდებულის მოძღვრის, დიდებულის მოძღვრების მისაღებად და დასარიგებლად. ყველანი ერთი მეორეს ულოცავდენ ხოლმე, რომ კიდევ გახდენ ღირსი მათი სულიერი და ზნეობრივი აღმაღლებისა და განვითარებისათვის დაუღალავი მშრომელის, დიდებულის მოძღვრის ხილვისა და დარიგების სმენისა.

სექტემბრის პირველს რიცხვებში, მობრძანდა პირველად ლეჩხუმის მაზრაში ჩვენი ქვეყნის მთავარ-მმართველი, გენერალ ადიუტანტი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი. სამწუხაროდ მთავარ-მმართველი, ძალიან ცოტა ხანს დარჩა ჩვენს მაზრაში, ასე რომ შეუძლებელია ბევრი რამ არ დარჩენილიყოს გაუგებელი, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უმთავრეს საჭირო საგნებს მაინც გაიცნობდა. საზოგადოდ, როდესაც მაზრის მთავარ-მმართველი თავის თვალით ნახავს, თავის ჭკუა-გონებით გაიცნობს მისდამი შთაბარებული ხალხის ცხოვრებას და მდგომარეობას, მის ავსა და კარგს, საიმედოა ყველა იმ წყლულებებს, რომელნიც ხალხს სტანჯავენ და უშლიან ხელს წარმატების გზაზედ დადგომის შესახებ, განმაკურნებელს წამალს დასდებს. საზოგადოება ამ იმედებით აღჭურვილი დიდის მხიარულებით ეგებებოდა და აცილებდა მის ბრწყინვალებას. მთავარ-მმართველმა ხუთს სექტემბერს გაათია ღამე უბრწყინვალესის თავადის გრიგოლ ლევანის ძის დადიანის სასახლეში, სოფელს სურმუშს, სადაც ეს უკანასკნელი საზაფხულოდ მობრძანდება ხოლმე. მეორე დღეს, ექვს სექტემბერს, დილის ათ საათზედ, იქიდამ წამოსულს მდინარე ასკის წყლის პირზედ, სადაც ილევა სამზღვარი ლეჩხუმის მაზრისა და იწყება რაჭისა, მის ბრწყინვალებას დაახვედრეს საუზმე თთ. გელოვანებმა. ძველი ქართული სუფრის, ქართული გულ-გახსნილი მიღების და მოლხენის შემდეგ მთავარ-მმართველი კმაყოფილი დარჩა და რამოდენიმე გზის მადლობა შესწირა მასპინძლებს და გავიდა სამზღვარზედ, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე თავად ჟიფიანებს ჰქონდათ გამზადებული სადილი. იმედია, ეს მოგზაურობა ჩვენის ქვეყნის სასულიერო და საერო საქმეების მთავარ-მმართველებისა უნაყოფოდ არ ჩაივლის და ჩვენის ყოველის მხრით უკან დახეულის მაზრის მცხოვრებლების მდგომარეობა გაუმჯობესდება. ამის ნიშნები ამ თავითვე გამოჩნდა: როგორც გუბერნატორს, ისე მთავარ-მმართველს სთხოვა საზოგადოებამ, რომ ჩვენს მაზრაში დაწესებულიყო ფოსტის გზა, რომელიც აღუთქვა მთავარ-მმართებელმა ჩვენს საზოგადოებას. ეხლა ნამდვილის წყაროდამ ვტყობილობთ, რომ ეს თხოვნა უკვე შეწყნარებულა და მალე ჩვენს მაზრაში ფოსტის გზა გაიხსნება, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს როგორც მოგზაურობის მხრით, ისე სხვა მხრითაც. ღმერთმა ინებოს, რომ ამ პირველს დანარჩენი თხოვნების შესრულებაც თან მოჰყოლოდეს.

ქაიხოსრო გელოვანი.

---

## რაჭიდამ.

მდიდარო, საწყალს მიხედე,
იყიდე საწყალთ გულია,
თორემ მოჰკვდები, წაწყდები,
ვერას გიშველის ფულია.

ჩვენ მუხანათ დროში ვერ ვნახე იმისთანა კაცი, რომელიც ქვეყნიურ დრტვინვას არ დაემონებოდს, ვერ ვნახე ვერც ისეთი გვამი, რომელსაც სიმდიდრე საფლავში თან ჩაჰყოლოდეს? ჟველამ ვიცით და ყველა ვხედავთ, ბატონებო, რომ დალოცვილი ბუნება ერთგვარად მეფობს კაცობრიობაზე, მისთვის ყველა ერთი ვართ: ღარიბიც, მდიდარიც, მეფეც და გლახაკიც. სიკვდილისათვის განურჩეველია მდიდრის ოქრო გინა ვეცხლი და ღარიბის სპილენძის კაპეიკი.

მაშ რაკი ეს ასეა, ვიქონიოთ ერთმანეთის სიყვარული, შებრალება და კეთილი გული. ვეცადნეთ, რომ ყველანი ალალად და პირნათლად წარვსდგეთ წინაშე საშინელის სამჯავროისა ქრისტესა. ვიქონიოთ სახეში იგავი მაცხოვრისა მდიდარზე, რათა ჩვენც ისე ტანჯვით არ განვიცადნეთ. მადაავლეთ თვალი თბილისის სას. სემინარიის ღარიბ მოწაფეეთა რიცხვს, რომელთათვის უკვე დაარსებულ არს საქველ-მოქმედო ძმობა და ნუ დაიშურებთ მათთვის, შეძლებისა და გვარად, ფულით შემწეობასა.

ვის არ გამოგიცდიათ შაგირდობა? ვის არ მოგეხსენებათ, ნამეტურ, გაჭირებული შაგირდის მდგომარეობა, მისი მწარე ფიქრები, მისი მოწყენილი და დაღვრემილი სახე, რომლის ერთი შეხედვაც ყოველ მგრძნობიარე კაცს გულს აუღელვებს, სიხარულის სიბრწყინვალეს გაუფანტავს, უნებურად ჩააფიქრებს და ათქმევინებს: «ვინ იცის, რამდენი დღე ამის პირს რიგიანი ლუკმა პური არ უნახავს, ვინ იცის, ეს საცოდავი რა მდგომარეობაშია სიმშილითა და წყურვილითა და სხვ. დასამტკიცებელად მისა, თუ რანაირ გაჭირებაში არიან შაგირდები თბილისში, მოგახსენებთ მაგალითსაც:

იყო დრო, როცა მე, ამის დამწერი, ამ რამოდენიმე წლის წინად ვსწავლობდი თბილისის ერთ სასწავლებელში—ჩემი მშობლების ხარჯითა. ჩემთან ბინაზე იდგენ სამი ჩემისთანა ღარიბი ამხანაგი. ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი, ერთი მეორეს ვინახავდით. ერთმანეთის ჭირი და ლხინი მიგვაჩნდა თავის საკუთრებად. ერთ წელიწადს მთელი ორი თვე შემინახეს ამხანაგებმა, რომ ჩემს ბარაზე არ მოიპოვებოდა ყურ-გახვრეტილი ფარა. ველოდებოდი მშობლებიდამ ხარჯსა და ვერ ველირსე. ვიტანჯებოდით ოთხივე ამხანაგები სიმშილითა. სხვა ღონეს რომ ველარ გავხდი, ვიწყე ხშირად სიარული ავლაბრის რიყეზე, სადაც ჩვენი სოფლის ვაჭრები დადიოდნენ ხოლმე; მაგრამ, საუბედუროდ, ვერავის შევხდი. ერთიც ვნახო, ერთ საღამოს შევხდი რიყეზე კაცს, რომელიც პირის სახით და გარეგანი შეხედულობით წაავამგვანე ზემო რაჭის მთიულის ტიპსა. «გამარჯობა შენი» უთხარი მას.

— «გაგიმარჯოს» მიპასუხა მან და კაიხნის დაკვირვების შემდეგ მკითხა: «ვინ ხარ, შვილო, შენ?»

— მე გახლავარ ზემო-რაჭველი ღებელი მღვდლის შვილი.

შენ გლოველი არა ხარ? ვკითხე მე.

— ნწუ, გააქნია თავი უცნობმა და მითხრა: «მე არც გლოვლაი ვიცი, არც ღება.» ვერც შენ გიცნობ და ვეც მამაშენს მღვდელსა. მე ვარ მოხევე. ქავკავიდამ ქირით ურმები მომიტანია აქა.

წარმოიდგინე, მკითხველო, ჩემი იმხანათ დალონება; უცბათ თავზარი დამეცა. თავიდამ ფეხებამდინ ქრუანტელმა დამიარა. ტუჩები ამიჩაფჩაფდა და თვალებიდამ ცრემლმა პაწია ნაკადულივით იწყო დენა.

— რაიზა სტირი შვილო, რამ შეგაწუხა მაგგვარად. მკითხა მოხევემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შემრცხვა, როგორც იყო თავი შევიმაგრე, თვალები გამოვიწმინდე და ტირილის ხმით შევსჩივლე მას ჩემი გაჭირება.

— ჰმ, ჩაილოლნა მოხევემ: «მეც შვილო, ერთი წვრილაების პატრონი ღარიბი კაცი ვარ, აჰა ეს ექვსი შაური» მითხრა იმ სულ ცხონებულის შვილმა და მომცა ხელში. მოხევეს თავდაკვრით მადლობა შევსწირე და ვქუსლე, მაგრამ ვაი ამისთანა ქუსლვას! ამხანაგებს ეგონათ, თუ მე ფული ბლომად ვიშოვე და როცა გაიგეს, რომ ექვსი შაურის მეტი არ მიშოვია, დაღონდნენ საშინლად.

— რა ვქნათ ძმაო, ამ ექვსი შაურით რამდენ ხანს უნდა ვისაზრდოვოთ? მკითხეს ამხანაგებმა მოწყენილის ხმით.

— პრიქა თქვენი ჭირიმე, ბევრი მოგითმენიათ, ცოტა მომითმინეთ. ამ ორ დღეს საიდანაც არის საშველს ველი ღვთისაგან, მანამდი რითაც იქნეს იოლათ წავიდეთ-მეთქი, უთხარ ამხანაგებს.

მეტი რა ჯანი იყო. ამ ფულით წაველ კაზარმაში პურის სასყიდლად. რო ვიყიდე, ერთი იმდენი სალდათებმა მაჩუქეს და მოვიტანე ამხანაგებთან. მთელი ერთი კვირა—ჩვენს სარჩოს შეადგენდა ხმელი რუსული პური, მტკვრის წყალში დამბალი.

ვინ იცის, ბატონებო, რამდენ უარეს გაჭირებაში არიან საწყალი ღარიბი შაგირდები ტფილისში! სწორეთ მშვენიერი მოგონებაა ძმობის დაარსება ღარიბ შაგირდთა დასახმარებლად.

მღვ. მიხეილ გავაშელოვი.

## სხვა-და სხვა ამაოდ მორწმუნეობანი და თქმულებანი *).

ხანამ მელოგინე ქალი ლოგინზე წევს, რასაც კი შეიტანენ სახლში, ბავშს ზედ დააყენებენ და სამჯერ ეტყვიან: «ამან დაგლახოს!» ბავში აღარ დაილახებაო.

ახალ წელიწად დღეს ცეცხლს არ შეუბერამენ, ხბო გაიბერებაო.

ქველიერში ძაფს არ დართამენ, საჭმელში ბეწვი იცისო.

დიდ-მარხვაში მახოხს წყვილათ არ ჩააყენებენ, არ ვარგაო.

როცა უნდათ, რომ ქარი ამოვარდეს, ნალვერდალში ფილთაქვას (როდინის ქვას) ჩაჰფლავენ და თანაც ამ ლექსს ეტყვიან:

შენსა ქალსა ქალის ქალსა
ქალი ავათ გახდომია,
თუ რომ წახველ, მოურჩება,
თუ არა და მოუკვდება.

მაწოვარი დედა-კაცი მზის ჩასვლის შემდეგ წყალს არ მოიტანს, რძე გამიშრებაო.

სახლიდამ ცეცხლს არავის მისცემენ მზის ჩასვლის უკან, ყმაწვილს კბილები გვიან ამოუაო.

ყმაწვილს ფეხის გულზე არ უნდა დაფხანოთ, ფეხს გვიან აიდგამსო.

ყმაწვილს კისერში არ უნდა აკოცო, ბუტია გამოვაო.

ორსულმა დედა-კაცმა ღორის დაკვლას არ უნდა უყუროს, ბავშს ხროტინი ეცოდინებაო.

გასათხოვარმა ქალმა კვირაძალზედ ნაგავი კალთით უნდა გადაყაროს ქუჩაში და საით მხარესაც ძაღლის ყეფას გაიგონებს, იმ მხარეს გათხოვდებაო.

ცეცხლის პირიდამ რომ ქოთანი აილოთ, ნალაგევი მალე უნდა წაშალოთ, თორემ ქალი გვიან გათხოვდებაო.

ლობიო თუ ლაპარაკით ჩაიდგა, გადმოვაო.

ახალს ტანსაცმელს როდესაც სჭრიან, საყელოთ ამონაჭერს თავზე დაიდებენ და ორსულ ქალზედ ჩაასახელებენ, კაცი შემოვა ბიჭი, მიეცემაო და თუ ქალი შემოვიდა, გოგოვო. საყელოს ამონაჭერი თუ თავიდან გადმოვარდა, ქალი იქნება, თუ ვაჟი მოკვდებაო.

საჭმელს კოვზით მარილი არ უნდა ჩააყაროთ, თორემ უგემური გამოვაო.

გასათხოვარმა ქალმა ახალ წელიწად ღამეს თავისი ბედის პურს ერთი ლუკმა უნდა მოტეხოს და შეჭამოს და ხმა აღარავის გასცეს, ისე დაიძინოს. იმ ღამეს სიზმარში საქმროს ნახავსო.

ხელში ნიორი ან ხახვი არ უნდა მიაწოდოთ, სიმწარე იცისო, ძირს უნდა დადოთ და სხვამ უნდა ისე აიღოსო.

---

*) ჩვენ მივიღეთ ერთი გორელი ქალისაგან შეკრებილი სხვა-და-სხვა ამაოდ მორწმუნეობითნი თქმულებანი, რომელნიც ჩვენს ხალხში ძველის დროიდამ არიან დაშთენილნი. ეს ქალი გვთხოვს ჩვენ, რომ ამ ცრუ თქმულებათა ყურადღება მიაქციონ მღვდლებმა. ჩვენც ვბეჭდავთ ამ თქმულებათ იმ იმედით, რომ სამღვდელოება მიაქცევს ყურადღებას ამ თქმულებათ და, შეძლებისა-და-გვარად, აუხსნის სამწყსოთ ამისთანა რწმუნების უსაფუძვლობას.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირაძალზედ ტახტი არ უნდა გადმოგაოთ, არ ვარგაო.

სადაც სახლში მელოგინე უწევთ, კარებს უკან რკინეული უნდა ეგდოს, როდესაც დაღამდება და შინ შემოდის ვინმე, ზედ უნდა გადაალაჯოს, ავი ფუზია არ შემოჰყვებაო.

ბავში რომ კუტი გყავანდეთ, სამ კვირაძალზედ წითელი აბრეშუმის ძაფით ფეხები უნდა გაუბორკოთ და კარებში ჩააყენოთ და უთხრათ: კუტო, ფეხი აიდგი, თორემ ფეხებს მოგაჭრითო. ეს სიტყვები სამჯერ უნდა უთხრათ და წალდით ძაფი უნდა გაუჭრათო და ყმაწვილი ფეხს აიდგამს.

ბავში რომ მალე ენას არ ამოიდგამს, წაიყვანენ კვირა დილით საყდარში და ჩააყენებენ საყდრის კარებში, კლიტეს ბავშის თავზე გააღებენ და გასაღებს პირში გამოუსვამენ და ფიქრობენ, რომ ამით ყმაწვილი ენას ამოიდგამსო.

ღამე სუფრას არ გაბერტყამენ, სამშობლო გაგვიღარიბდებაო.

სუფრას ხახვის ნაფრცქვენი არ უნდა ააყოლოთ, ოჯახში სიმწარე არ გამოილევაო.

ბავში რომ სრულებით კუტი იქნება, ვიდრე კვირაძალი მოატანდეს, აიყვანენ სასაფლაოზე, დაახედებენ სამჯერ, ფეხს აიდგამსო.

კვერცხის ნაჭუჭს ცეცხლში არ ჩაჰყრიან, ქათამი კვერცხს აღარ დასდებსო.

ქალმა თავის თმა არ უნდა დასწვას, თორემ დედას თვალი დააკლდებაო.

გასათხოვარმა ქალმა ბინდზე პური არ უნდა ჭამოს, თორემ ბედის მწერალი ჩამოივლის და იტყვის: ამას რაღა ბედი უნდა, თავის ბედი თითონ უჭირავსო.

ქალი როცა ლოგინათ დაწვება, ჩუმათ თავ-ქვეშ სასწორს შეუდებენ, რამდენს დღესაც სასწორი მელოგინის თავ ქვეშ დარჩება, იმდენ წელიწადს შვილი აღარ მიეცემაო.

ბავშის ტანისამოსს ღამე კარში არ დასტოვებენ, ბავშს ძილი არ მოუვაო.

კრუხს ყველიერში დადებულს კვერცხს არ დაუდებენ, მამლებს გამოსჩეკამსო და კრუხს ცეცხლზედ მოავლებენ და ეტყვიან: ცხარ-ცხარ, როგორც ძმარ. ვინც კრუხს დააჯენს, საითაც წავა, წიწილებიც იმ მხარეს მიეჩვევიანო.

ორსულმა ქალმა კრუხი არ უნდა დააჯინოს, თორემ ან ქალი მოილოგინებს და კრუხი აღარ გამოსჩეკავს და, თუ კრუხი გამოსჩეკავს, ქალი ვეღარ მოილოგინებსო.

მინდვრათ რომ პურს გაიტანენ, სანამ თესვას არ გაათავებენ, არავის აღარას ათხოვებენ, პური არ ამოვაო.

ყველიერში საპნით სარეცხს არ გარეცხამენ, პური დაგვიობდებაო.

ყველიერში საპნით თავს არ დაიბანენ, თმა მალე გაგვიჭაღარავდებაო.

ხარება დღეს საპონს არაფერზე არ იხმარებენ, სიმწარე იცისო.

შაბათობით რო პურს აცხობენ, ვისაც ძმა ჰყავს, მზეს კვერს დაუკრამენ, ძმას არ დამიწყევლისო.

ბავშს რო დორბლი ეცოდინება, ნათლიას ჩუმათ ხელსახოცს მოჰპარამენ, ბავშს მითი დორბლს მოსწმენდენ, დორბლი აღარ ეცოდინებაო.

გორელი ქალი.

---

დ. ძველი-სენაკი. 27-ს ოქტომბერს ძველ სენაკში აკურთხეს ახლად აშენებული სახლი, რომელშიაც ამის შემდეგ მოთავსდება სენაკში ამ ორის წლის წინად გადატანილი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის განყოფილება.—თუმცა ავდარი იყო იმ დღეს, მაგრამ ხალხი მაინც დიდ-ძალი დაესწრო. პარაკლისი გადაიხადა ყოვლად სამღვდელო ბესარიონ ეპისკოპოსმა. ახალ-გაზდა ბლაღ., მამა ბერიძემ მიჰმართა საზოგადოებას, მასწავლებლებს და მოსწავლეებს გრძელის სიტყვით, რომელიც დააბოლოვა ოცდახუთი მანეთის შეწირვით თავის მხრით, პატივცემულმა დ. ი. ყიფიანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც მთელი საზოგადოება, ქალი, თუ კაცი, ყველა სიამოვნებით უგდებდა ყურს.—შემდეგ სასწავლებლის ზედამხედველმა ბ. ს. ყიფიანმა, რომელსაც, უნდა აღვიაროთ, სამაგალითოდ მიჰყავს ყოველის მხრით სკოლის საქმე, ანგარიში წარმოადგინა და სხვათა შორის სთქვა: «საზოგადოდ მეგრელები, სადაც ქართველობა, როგორც ენით, ისე მოქმედებითაც უკეთ შენახულა, დიდს თანაგრძნობას უცხადებენ სკოლის საქმესო. უგანათლებულესმა მეგრელის თავადმა შემოსწირა რამოდენიმე ქცევა მიწა და ასი მანეთი ამ ხანად და მომავალშიაც გვპირდებაო„ ერთმა ვაჭარმა, რომელმაც ეს სახლი ააშენა, დღეს ასი მანათი შემოსწირაო. ერთის სიტყვით, ყველა თანამგრძნობია და ეჭვი არ არის, რომ საქმე სამაგალითოდ წავავო. მას შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა, იქ დამსწრე, «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების« წევრმა აკ.—შემდეგ პატივცემული სტუმრები მიიწვიეს მოთავის მომზა-

დებულ ოთახში. იქ წარსდგა ბ. დ. ყიფიანის წინ, ადრიდგანვე ცნობილი, ბახვა ფვალავა, რამდენიმე დარბაისელ პირებთ და სახალხოდ წარმოსთქვა მთელი მეგრელიის გულის-ტკივილები.

ორ საათზე სტუმრები მიიწვიეს სუფრაზე და გაიმართა ქართული ლხინი სიმღერებით და სადღეგრძელოებით. ბატ. ნიკო დადიანმა წარმოსთქვა ჩვეულებრივის ტკბილ-ქართულობით მოხდენილი სიტყვა, დიდ საგულისხმო საზოგადოთ; მან გამოიწვია ბატ. გ. მაჩაბლის მხრით საკადრისი და საგრძნობელი პასუხი. ბატ. ბახვა ფვალავას ქება შეასხა აკაკიმ, როგორც ბეჯით მუშას და თანა-მგრძნობს ყოველ კეთილ საზოგადო საქმეთადმი. — მაზრის უფროსი ბ. ბებურიშვილიც დაესწრო და როგორც შეჰფერის მის თანამდებობას, სწორედ ისეთი თანა-გრძნობა გამოუცხადა სკოლას და იმედია, რომ იმ გვარსავე თანა-გრძნობასა და შემწეობას შემდეგშიაც არ მოუშლის. ბოლოს საზოგადოდ დალიეს მეგრელიის თავადის სადღეგრძელო. დეპეშით გამოუცხადეს მადლობა და სთხოვეს მიელო იმ სკოლის «საპატივ-ცემულო ზედამხედველ-მზრუნველობა». (ივერია).

## ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული ბლადოჩინის მღვდლის გიორგი ბერიძისაგან 20-ს ოკტომბერს, 1885 წელსა, ძველ სენაკში სააზნაურო სკოლის კურთხევის დღეს.

კეთილ მსახურნო მსმენელნო! ეს დღე დიდი და სამხიარულოა ჩვენ ყველა აქა მდგომარე ერთა და არა თუ მხოლოდ აქა მდგომარეთა, არამედ იმათთვისაც, რომელთაც რომელიმე გარემოებათა გამო ვერ მოახერხეს ამ სამხიარულო კრებაზე დასწრება. დღეს არის კურთხევა ამა სკოლისა. ამ სასწავლებლის აუცილებელი საჭიროება დაინახა თავად-აზნაურობამ და ამიტომ დაარსა იგი. ჩვენი მხიარულება არ უნდა გავხადოთ წარმავალ მხიარულებად, არამედ თანაგვაძს ყოველთა დაულევნელი მხიარულება და დღესასწაულობა, რომელიც დაფუძნებულია დაულევნელს ჩვენს შრომაზედ, ღვაწლზედ და გულს მოდგინებაზედ. ჩვენ ყველა ამ საქმის მონაწილეთა ვალად გვაწევს, რომ ამ სახლის კეთილ-მდგომარეობაზე ვზრუნავდეთ და მივცეთ ყოველ გვარი საჭირო მასალა—მასალა არა მხოლოდ ნივთიერი, არამედ ზნეობითიც. არ არის საკმაო მარტო ის, რომ გაიხსნა სასწავლებელი და დაიწყო სწავლა, ამასთან საჭირო არის შემაგრება და უძრავად დაფუძნება მისი, რომლის მასალად ჩვენ უნდა გამოვიღოთ გულ-უხვი შემწეობა და არ უნდა მოუწყინდეთ ჩვენ ამ კეთილი საქმის შრომას და ღვაწლს.

რომელმა ჩვენგანმა არ იცის, რომ განათლება ქვეყნისა და გათანასწორება განათლებულ საზოგადოებასთან, ყოველი ბედი და უბედურება საზოგადოებისა არის დამოკიდებული სწავლაზედ? რომელს მხარეშიაც, ან საზოგადოებაში სწავლა-განათლება დაცემულია, იქ საზოგადოება დაჩაგრული და დამხობილია, როგორც ნივთიერდა, აგრეთვე ზნეობითად.

კეთილ-მორწმუნენო მოძღვარნო, მასწავლებელნო! თქვენ დღეს მხიარულნი ხართ გულით, რომ ამ თქვენდამო რწმუნებულ სასწავლებელს დღეს განელო კარნი; მხიარულნი ხართ, რასაკვირველია. აქ შეკრებილ არიან მრავალნი არა თუ მარტო ამ სასწავლებლის დამაარსებელნი საზოგადოების წევრნი, არამედ სხვანიცა მრავალნი პატივცემულნი პირნი. ეს მხიარულება, რასაკვირველია, ღირსეულია და პატიოსანი, მაგრამ საკმაო არ არის მარტო თქვენი მხიარულება. თქვენ მაშინ უნდა იყოთ უფრო მხიარული, თუ საქმითაც გაამართლებთ თქვენს დანიშნულებას.

თქვენც, სულიერნო შვილნო, მოსწავლენო! მარტო საზოგადოების ზრუნვა და ნივთიერად განათლება ამ სასწავლებლისა და მეორედ თქვენთა მეუფროსეთა და მასწავლებელთა ერთგული შრომა და ღვაწლი ვერ დააკმაყოფილებს სასწავლებლისაგან მოსალოდნელს იმედებს, თუ კი თქვენც მუყაით შემწედ არ გამოჩნდით ამ საქმეში.—შემწე რითი? სწავლით, მეცადინეობით და კეთილ ზნეობით. როდესაც იმ ორს პირველს მოთხოვნილებას შეუერთდება თქვენდამო დადგენილი მოვალეობაც, მაშინ იქნება ეს სასწავლებელი სრული და უნაკლულო. მხიარულ იყვენით, რომ თქვენმა მშობლებმა იმდენი იშრომეს, რომ არ დაზოგეს თქვენთვის უკანასკნელი მათი შეძლება და ღონე. დააფასეთ თქვენ ის, რომ ამდენი თქვენნი მასწავლებელნი არიან თქვენთვის მოცლილნი და დაუვიწყრად ზრუნვენ თქვენი კეთილად აღზრდისათვის. ეცადეთ გულ-წრფელად, რომ თქვენთვის განღებული სანატრელი და უძვირფასესი კარი თქვენი უმეცადინეობით, ანუ უზნეობით არ დაიხშოს, არამედ კვალადცა ეცადნენით გულ-წრფელად, რომ თქვენის მეცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინეობით, თქვენის სწავლით და თქვენის კეთილ-ზნეობით და ყოფაქცევით გამხნევდეს თქვენი მშობლების გული. ამინ.

## საისტორიო მასალა *).

(გაგრძელება)

ზემოხსენებულ ეკკლესიის მღვდელთან ვპოვე შემდეგი ხელ-ნაწერნი წიგნნი:

1) Ⴀნტონის მიერ არქიეპისკოპოსისა Ⴃავითიანისა კატეღორიათა Ⴀრისტოტელითთად შეყუანილება. Ⴀმ წიგნს აქვს ხუცურად დაწერილი შემდეგი სათაური:

სადიდებელად ცხოველის მყოფელისა, თანა-არსისა და განუყოფელისა სამებისა: ანტონისაგან არქიეპისკოპოსისა ზემოისა საქართველოისა დავითიან ბაგრატოვანისა ქმნილი ანუ თქმული. წიგნი კატეღორია, სიმეტნეჲ და სჯილი მისგან, ხმაზედა არისტოტელისა შედგომითავე მისითა, მაგრამ სხვათაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფოსთა განსაზღურებათაგან და გარდმოცემათა მოღებული. ხოლო წინა დადებულნი თვისისა სხოლისა მოწაფეთად დროსა ყოვლად ბრწყინვალისა, უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა ზემოისა საქართველოისა, ხოლო მამათ მთავრობისა თვისისასა.

Ⴀმის შემდეგ მშვენიერი ნუსხური ხელით არის დაწერილი:

„წელსა დასაბამითგან სოფლისათ 7275: ხორციელად შობიდგან სიტყვისა ღვთისა 1767. თთვესა მერვესა: რიცხვსა 9. დაიწერა ახალსა გნოსისასა შინა სამეფოსა მისის მეფობის უმაღლესობისასა.

Ⴃასრულების ბოლოს აწერია: ქება, კურთხევა, მადლობა და თაყვანისცემა, შენდამი ღვთისა ჩვენისა, ცხოველის მყოფელისა სულისა, რომელიცა სამობითსა რიცხვსა, თანა-არსთა შენთა გვამთასა, ერთ-ღვთაებითსა შინა არსებასა აღვსებ მით, რამეთუ შენ მიერ არს ყოველთავე ნიჭთა შენ მიერ და ჩვენ—შორისებულთა, მოქმედებისა წარმართება. Ⴀმის შემდეგ იწყება პინაქს—სიტყვაობა ალფავიტით. (პინაქი ნიშნავს ზანდუკს, ანუ სარჩევს. Ⴈხილე საბა-სულხან Ⴓრბელიანის ლექსიკონი).

2. მეორე ხელ-ნაწერ წიგნში დაწერილ არიან შემდეგნი:

ა) წირვის განმარტება.
ბ) სარწმუნოების აღსარება.
გ) სამადლობელი პარაკლისი.
დ) მამაო ჩვენოს განმარტება.
ე) ეკკლესიის კურთხევა მღვდლისა მიერ.
ვ) აღსარების სათქმელი წიგნი.
ზ) კვალად აღსარების სათქმელი წიგნი.
ჱ) შვიდ მამაკვდინებელ ცოდვათა განმარტება.
თ) შვიდი მამაკვდინებელის გულები დახატული.
ი) და ქართული რიცხვი და ციფრი.

3. მესამე წიგნი Ⴀნდრია სალოსისა. ბოლოს აწერია: გადმოვსწერე ყოვლად უღირსმან და უმეცარმან წიგნი ესე, რომელსა ეწოდების აპოკრიფა, წელსა ათას რვას ოცდა ცხრასა, იანვრის ბ. სრულ ვყავ და ესეცა უწყოდეთ, აღმომკითხველნო, არა თუ ვსწერე ესე უხალისოდ, არამედ ფრიად სურვილი შეუხდა გულსა ჩემსა და განაღვიძებდაცა უშინაგანესსა ძალსა გონებისა ჩემისასა და ბოვიჭირვე ყოვლის ფერით. კვალად წიგნი ესე იყო ხელთ-ნაწერი საღმრთოსა წერილითა და ფრიადცა გულის ხმიერად განვარჩევდით, თუ უკვე შეცთომა რაიმე მომსვლოდა და სრულ ვყავ შეწევნითა ღვთისათა ორსა თვესა დღე და ღამე წერითა და დიდის სურვილითა ყოვლად უღირსმან უცებმან და უმეცარმან (აქ სახელი და გვარი მწერალისა არა სჩანს, რადგან მელნით არის წაშლილი). ღმერთო საშინელო და წმინდაო მონანო მისნო ანდრეა და ეპიფანე, მეოხ მექმენით და დაიცვით სული ჩემი დღესა მას საშინელსა და შესაძრწუნებელსა განკითხვისა მისა ღვთისასა თანა მამით და ყოვლად წმიდით სულით აწ-და-მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

4. მეოთხე წიგნში არის მოხსენებული საითიკოსადმი ფილოსოფიისა წინასიტყვაობა და ზედ დადგინებანი პოლიტიკისანი, ესე იგი სამოქალაქოისანი.

5. Ⴃავითის მიერ Ⴃავითიან ბაგრატოვანისა Ⴕართლისა და Ⴉახეთისა მეფის Ⴂიორგის მეათცამეტის პირმშოს ძის ღენერალ-მაიორი და კავალერის Ⴃავითისაგან ქმნილი ისტორიაი, რომელსა ეწოდების ნარკუევი. Ⴜელსა დასაბამიდგან ჴტჱ. ხორციელად შობიდგან სიტყვისა Ⴖვთისა ჩჱ. ხოლო Ⴕართულსა ქორონიკონსა, უპჱ. Ⴇთვესა მარტსა, რიცხვსა ა.

Ⴜინასიტყვაობაი წინამდებარისა ამის წიგნისა, ნარკვევად ზედ წოდებულისა ისტორიისა შემოკლებული ისტორიაი.

*) იხილე «მწყემსი», № 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინაიდგან ბუნება გონებითი ასწავებს ყოველთა თავისა თვისისა უმჯობესისა ალრჩევასა, ამისათვის მეცა უმჯობესად ვრაცხე შრომაი ესე. ვინაიცა ბედნიერებისა ნიავმან მოჰბერა ერთა ჩვენთა და იწყეს ტრფობად აზნაურებითისა მიმართ ხელოვნებისა, რომელნიცა დროისა ძალით მოკლებულ იყვნეს, ამად საჭირო იყო ისტორიისაცა შემეცნება, რომელ ამასცა მიეწერების ნაწილ-ყოფაი აზნაურებითისა მიმართ ხელოვნებისა.

ამისათვის ვჰყავ შრომაი და შევთხზე მცირე ესე ისტორია, მრავალთაგან წერილთა რუსულთა და ქართულთა, რომელსა ეწოდების ისტორია ნარკვევი, რომელიცა უჩვენებს გზასა საზოგადოსა, ისტორიისასა, ესე იგი ასურეთისა, სპარსეთისა, საბერძნეთისა, რუსეთისა, ჰრომისა და ქართლისასა.

ზარნა არა მრცხვენის, ამად რომელ განღვიძებულ ვიყომცა სიყვარულისათვის მამულისა, რომელსაცა თავი თვისი მზა მიყოფიეს სისხლი თურთ მსხვერპლად ტრაპეზსა ზედა სიყვარულისასა დასაწველად, რომელიცა არა ვარიდებ შრომასა სარგებლისათვის მამულისა, რათა აღმოვჩნდე სიყვარულითა, ერთგულებითა და მსახურებითა და რათა მეცა ნიადაგ დაუვიწყებლობასა შინა მათსა ვიყო. მათ მიერ სახსოვრად.

საქართველოს მეფის გიორგის პირმშო ძეი მემკვიდრე, რუსეთის ღენერალ-მაიორი და კავალერი დავით.

ბოლოს აწერია: განსრულდა დიდება ღვთისა. მუშაკთა წიგნისა ამის შენდობა უბრძანეთ ცთომათა; მარტსა კა, ქორონიკონს ფივ-სა.

ისტორიაი ესე სხვათა-და-სხვათა ქვეყნებთა სახელად წოდებული ნარკვევი; საქართველოს მეფის მეათცამეტის გიორგის ძის დავითისაგან შეთხზული, ვიშრომე და გამოვსწერე მე თავადმა იოსებ გაბრიელის ძემ რატიევმა, მარტის კა-სა დღესა, ჩუკვ-სა წელსა.

ჩულტ წელსა, აპრილის დ დღესა, პირველსა ჟამსა ღამისასა აღმოჩნდა ჩრდილოეთის კერძო და მცირედ დასავლეთის მხარესაც ეკუთვნოდა, ვარსკლავი იგი, რომელსაცა ჰქონდა სახე განრჩევით გველეშაპისა, რაოდენსამე ხანს იყო და მერმე განჰქრა მეყსეულად და სიდიდე მისი კაცთა მჭვრეტელთა განაცვიფრებდა. მე თვალითა ჩემითა ვიხილე თ. სვიმონ მაჩაბელი.

მეფის იასის ძის დიდის ანტონის კათოლიკოზისაგან თქმული იამბიკო ბატონიშვილს ლეონზე.

განცვიფრდი ცაო, შეძრწუნდი ქვეყანაო,
დაეცი მთაო, აჰა საკვდავათ მზაო
ცრემლი იმწარე, ჰე მშვენიერო ყრმაო
და სად მიმეფარე, ჰოი, მეუმეთა თაო.

***

ლეონ ყვავილო, ედემსა შინა აღზრდილო,
სიბრძნით განფრდილო, მანგლით უწყალოდ მკლეულო,
ირაკლის შვილო წიაღ ნაზარდო ჩჩვილო,
და ანტონის ზრდილო და საკუთარ ნაწილო.

---

მარიამ ბატონის შვილის არჩილ მეფის ასულის თქმული.

ვაი არს ჩემდა დღენი წინანი,
მაღალ პალატთა სხივ-მრავალთა შეურილობანი,
სხვათა-და-სხვათა ფერ ყვავილთ სურნელობანი
და უცხოდ და უცხოდ მოდ ხმათა მარად სმენანი.

***

აწ ამ ჟამს მომაკლდა სოფლის შვებანი,
ნიადაგ გლოვა, ტირილი, სულქთმა, ვაებანი
იცვალნეს ბრწყინვალება ბნელად, მაქვს ტყებანი
და განქარდა ჩემთვის ტკბილნი ხმანი; ქნარნი ებანნი:

***

ისმინეთ მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მომიპყართ ყურნი,
რა გვარი ჭირნი ცეცხლნი, ხშირნი მწველთ ალმურნი
ვნახენით როსა ამა დროსა ზედა ზედ რთულნი,
გვძლივა სოფელმან ხელ მყოფელმან აწ გვაგო შურნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვა-და სხვა ამბები და შენიშვნები.

ნოემბრის ჩვიდმეტ რიცხვს, სალამოს შვიდ საათზე ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის სახლში იყო პირველი კრება **ღვთის მშობლის სახელობაზე დაარსებული ძმობის** გამგეობის წევრთა. გამგეობის თავს-მჯდომარემ სემინარიის, რექტორმა დეკანოზმა **პ. ი. ჩუდეცკიმ** წინადადება მისცა კრებას, რომ აღერჩიათ თავს-მჯდომარის ამხანაგი, ხაზინადარი, სეკრეტარი, წიგნთ-საცავის გამგე. კრებამ აირჩია თვის შორის თავსმჯდომარის ამხანაგათ ბ. დ. ბაქრაძე; ხაზინადრათ—ბლაღოჩინი პეტრიევი, რჩევის სეკრეტრად დეკანოზი პალისტოვი და წიგნთ-საცავის მმართველად მღვდელი შოშიევი.

ამ სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ რელიგიური კითხვანი და საუბარნი დაიწყონ ახალი წლიდამ ტფილისის შემდეგ ეკკლესიებში: სემინარიის ეკკლესიაში რუსულს ენაზე, ალექსანდრონევის ეკკლესიაში, პუკიაში, წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, ჩუღურეთში—რუსულ და ქართულ ენებზე; წმიდა მარინეს ეკკლესიაში ავლაბარში—ქართულ ენაზე, მე თუთხმეტე გრენადერის ტფილისის პოლკის ეკკლესიაში—რუსულ ენაზე და წმიდა ნიკოლოზის ეკკლესიაში ვერაზე აისორულ ენაზე, სხდომა თითქმის ხუთ საათს გაგრძელდა.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ «ივერიის» რედაქტორს ბ. ი. ჭავჭავაძეს მიუღია ნებართვა დღიური გაზეთის გამოცემაზე. ამბობენ, რომ ამ ახალს დღიურ გაზეთს სახელად «ივერია» ერქმევაო და პირველი ნომერი ამ გაზეთის, **15** დეკემბერს გამოვაო. როგორც სჩანს ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი «ივერია» მომავალ წელში აღარ გვექნება. ისმის აგრეთვე, რომ «ნობათი» მომავალი წლიდამ გამოიცემა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან. ბ. ღულაძისავე რედაქტორობით.

* * *

ნოემბრის ათს ეჩმიაძინში შესრულებულა დიდის ცერემონიით მირონცხება ახალი სომხების პატრიარქისა. მწირველი ამ დღეს თვითონ პატრიარქი ყოფილა და მასთან ერთად თორმეტი მღვდელ-მთავრები ყოფილიყვნენ მწირველნი. დიდი საზოგადოება შეკრებილა ამ წესის შესრულების დროს.

* * *

ბოლღარიამ და სერბიამ ჩინებული ომი გამართეს. პირველად სერბიელებმა გაიმარჯვეს და რამდენიმე ბოლგარიის ადგილები დაიჭირეს. მაგრამ ამ ბოლოს დროს ბოლგარიელებმა დასძლიეს და სერბიელები გარეკეს ბოლგარიის ადგილებიდამ. ამას წინეთ ომიანობა ასტყდა სათათრეთსა და რუსეთს შუა სერბიელების და ბოლგარიელების სათათრეთის მონობისაგან განთავისუფლებისათვის და აუარებელი ხალხი გაწყდა ომიანობაში და რუსეთმა გამოიხსნა ისინი სათათრეთის მონობისაგან. ომიანობის შემდეგ ბოლგარიელებს და სერბიელებს მიენიჭათ თავისუფალი გამგეობა. ყველას კარგად ახსოვს, თუ რამდენი ფული იკრიბებოდა ჩვენში და სხვაგანაც ამ თემთა სასარგებლოდ და მათ გამოსახსნელად. დღეს ეს ორი ძმები ერთმანეთზე ამდგარან და ერთმანეთს გაჟლეტას ემუქრებიან. სასაცილო ყველაზე ის არის, რომ ერთიც და თითქმის მეორეც სათათრეთის სულთანს სთხოვენ შემწეობას ერთი მეორის გასაწყვეტად!...

* * *

იბეჭდება და მალე გამოვა საბეჭდავიდამ ქართულ ენაზე საქართველოს საეკკლესიო ისტორია. ეს წიგნი, ჩვენის აზრით, ძლიერ საჭიროა ჩვენი სამღვდელოებისათვის, რომელიც სასწავლებელში არ ყოფილა და არ უსწავლიათ საქართველოს საეკკლესიო ისტორია. ჩვენში დღემდინ ზოგიერთ ალაგას კიდევ საკმაოა, თუ სამღვდელოდ მომზადებულმა კაცმა კატეხიზმოდამ და საღმრთო ისტორიიდამ ზოგიერთი კითხვები დაისწავლა ზეპირად...

* * *

ყელის ტკივილი თან-და-თან ვრცელდება სოფლებში. ეხლა ჩვენ შევიტყვეთ, რომ ეს სნეულება ზოგიერთ სასწავლებლებშიც დარევია შაგირდებს.

* * *

ერთი მშვენიერი წესი შემოუღია ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორს დეკანოზ ჩუდეცკის. ეს წესი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა გარეშე ბინის სემინარიის შაგირდები ნასადილევს შეიკრიბებიან სემინარიაში და გაკვეთილებს აქ ამზადებენ თბილს და განათებულ კლასის ოთახებში. სწორეთ დიდი მადლობის ღირსია მამა რექტორი ამისთანა წესის შემოღებისათვის, რადგან გაკვეთილების შესწავლა ამ წესით უფრო გაუადვილდებათ შაგირდებს.

* * *

სამეგრელოს ეპარქიის ისევე ცალკე საკუთარ ეპარქიად დარჩენა საზოგადოებას ძალიან სასიამოვნოდ დაურჩა, მაგრამ კათედრის ადგილის გამორჩევამ კი სწორეთ ბევრი აალაპარაკა და მრავალი «პარტიობა» ასტეხა. ერთს სურს, რომ მარტვილში დაარსონ კათედრა; მეორეს უნდა ახალ-სენაკში იყოს, მესამე თხოულობს სუჯუნაში დაარსებას და სხვები კიდევ სად, ვინ მოსთვლის? ამისთანა უთანხმოება გააფუჭებს ხოლმე ყოველთვის საქმეს და ჩვენ გვგონია, რომ ამ შემთხვევაშიაც ეს გარემოება ძლიერ დაეხმარება ფოთელებს, რომელნიც დიდ შეწირულებას პირდებიან კათედრის სასარგებლოდ...

***

ჩვენ მივიღეთ მამა ბლაღოჩინის ბიორგი ბერიძისაგან შემდეგი წერილი:

«წარსულს 1884 წელში სენაკის მაზრაში სამღვდელოებამ თავის დროზე და უნაკლულოდ აიღო თავიანთი ხვედრი დრამის ფული სამრევლოთაგან. ეს მოხდა ბ. მაზრის უფროსის ბებურიშვილის მეცადინეობით და განკარგულებით. არც ერთ წელში ასე წესიერად და პატიოსნად არ დაკმაყოფილებულან მღვდლები დრამის ფულებით, როგორც ამ წელში. მაზრის უფროსმა უბრძანა მამასახლისებს, რომ მათ დრამის ფულები მოებოჭათ სამრევლოთაგან და დანიშნულ ვადაზე წარედგინათ თვით მასთან. მამასახლისებმა ეს ბრძანება ძალიან მალე აასრულეს: ფულები შეჰკრიბეს და თვითონ მაზრის უფროსს წარუდგინეს თითქმის უკლებლად და მაზრის უფროსმა ეს ფულები გარდასცა ადგილობით ბლაღოჩინებს მღვდლებზე დასარიგებლად. ყველამ თავისი მიიღო.

მარტვილის საბლაღოჩინო მაზრის სამღვდელოებამ მთხოვა მე, რომ თქვენის პატივცემულის გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით მათ მაგიერ ბ. სენაკის მაზრის უფროსს ბ. ბებურიშვილს გამოუცხადო უგულითადესი მადლობა ამისთანა ყურადღებისათვის. იმედი გვაქვს, რომ ის წარსული წლის მაგალითისამებრ ნიადაგ ასე დაგვაკმაყოფილებს სამღვდელოებას ჩვენი ხვედრი დრამით და ამით აგვაცილებს იმ უსიამოვნებას, რაც ამ დრამის შეკრებაზე ხდება ხოლმე მწყემსთა და სამწყსოთა შორის.»

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატთა შეკრებილება დეკემბრის 18, 19 და 20 რიცხვებშია.

***

იორაიშვილის მკვლელობის საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოსაგან მოსპობილი იქმნა, რადგან გამამტყუნებელი ფაქტები არ იყო ბრალდებულთ წინაამდეგ. ამის თაობაზე საჩივარი შეიტანა იორაიშვილის მქრივმა თფილისის სასამართლო პალატაში. დღეს, როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, თფილისის სასამართლო პალატას გარდაუწყვეტია, რომ ბრალდებულებს ხელი მოჰკიდონ და საქმე ხელ-ახლავ გაარჩიონ ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

***

ამას წინეთ ერთი საქმე გაირჩა ქუთაისის ოლქის სასამართლოში წერეთლების და ბარათაშვილის შესახებ, რომელთაც ბრალდებოდათ ცრუ ჩვენების მიცემა ფიც ქვეშ. ამ ბრალდებულთა საქმე გაირჩა სხვა-და-სხვა დროს. ერთი ბრალდებულთაგანი ოლქის სასამართლომ გაამტყუნა და მეორე კი გაამართლა. ამისთანა სასამართლოს განაჩენმა საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა...

***

როგორც «კავკაზი» გვაცნობებს, მეტეხის ციხიდამ სამ ტუსაღს, რომელთაც მკვლელობისათვის კატორგა ჰქონებიათ გადაწყვეტილი, კედლის საფუძველი გამოუთხრიათ და გაქცეულან. ერთი უკანასკნელი შეუნიშნავ ყარაულს და თოფის ხიშტით დაუჭრია და დაჭრილი საღამოს კიდეც ვომკვდარა. გაქცეული ტუსაღები ჯერეთ არ უნახავსთ.

***

21 ნოემბერს თბილისში იყო წლიური ანგარიში თბილისის საქალო გიმნაზიაში. წლიური ანგარიშიდამ იჩანს, რომ გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში დღეს სწავლობს ცხრაას ცხრამეტი ქალი. ამ რიცხვში ორმოცდა თერთმეტი პროცენტი რუსები არიან, ოცდა ორი პროცენტი სომხის ქალები, თერთმეტი ქართველებისა, ოთხი ებრაელებისა და დანარჩენი თორმეტი პრაცენტი სხვა-და სხვა თემებისა.

***

კავკაზიის მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი პეტერბურღში გაემგზავრა 21 ნოემბერს.

***

პეტერბურღში გაემგზავრა აგრეთვე თბილისის თავად-აზნაურთა წინამძღვარიც, რომელსაც, რო-

გორც ამბობენ, მრავალი სათხოვარი აქვს მართებლობასთან ჩვენი მხრის შესახებ.

* *
*

ამ დღეებში ქუთაისში მოხდა ფრიად სამწუხარო შემთხვევა: ქუთაისის სააზნაურო სკოლა კინაღამ გადაწვეს, რომ საბედნიეროდ მალე არ შეეტყოთ და არ მოექროთ ცეცხ.ლი. ცეცხლის წამკიდებლად, როგორც გვესმის, სთვლიან ამ სკოლის ზოგიერთ შაგირდებს. ძლიერ გვიკვირს, თუ რამ აიძულა ეს შაგირდები, ამისთანა საზიზღარი საქმე ჩაედინათ! ძრიელ სასურველია, რომ საზოგადოებამ დაწვლილებით იცოდეს ამ სასწავლებლის შინაური ავ-კარგიანობა.

* *
*

ბუშინ, 30 ნოემბერს, ვიღაცა უცნობ პირს ქუთაისის სამოქალაქო სკოლის მასწავლებლის ს. ბ—ისათვის, როცა ის გაკვეთილს აძლევდა კლასში, რევოლვერი უსვრია ქუჩიდამ. ტყვიას ძრიელ ახლოს გაუვლია ბ. ბ—ისათვის, მაგრამ მისთვის სრულებით არა უვნია რა.

## მღვდელთა საყურადღებოდ.

მედავითნეებს, მთავარ-დიაკვნებს და ხშირად მღვდლებსაც გაუჭირდება ხოლმე მალე შეტყობა რიგის კვირიაკის, ხმას და საცისკრო სახარებისა. ამისათვის ჩვენ განვიძრახეთ, რომ ამის შემდეგ ვბეჭდოთ «მწყემსში» ცნობა, რომლიდამაც ყოველი მსურველი შეიტყობს ნამდვილად, თუ რომელ თვის რიცხვს მერამდენე რიგის კვირიაკე იქნება, რომელი ხმა და რომელი საცისკრო სახარება. ამ წელში რიგის კვირიაკე, ხმა და საცისკრო სახარება იქნება:

| თთვე | რიცხვი | ყოვ. წმიდ. კვირიაკე | ხმა | სახარება |
|---|---|---|---|---|
| ნოემბრის | გ | კე | ჱ | გ |
| — | ი | კვ | ა | დ |
| — | იზ | კზ | ბ | ე |
| — | კდ | კჱ | გ | ვ |
| დეკემბრის | ა | კთ | დ | ზ |
| — | ჱ | ლ | ე | ჱ |
| — | იე | ლა | ვ | თ |
| — | კბ | ლბ | ზ | ი |

# ნარევი.

სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთთაგან.

## საუმჯობესო საშუალება შემდურებულ მეუღლეთა შესარიგებლად.

ციურიხში არის ერთი ჩვეულება: როდესაც ცოლ-ქმარნი გაყრის სურვილს განაცხადებენ ხასიათის შეუთვისებლობისა გამო, მათ დააბინავებენ ერთ კოშკში, რომელიც ერთ დიდ ტბის კუნძულზე არის აშენებული. ამ კოშკში არის მარტო ერთი ოთახი, ოთახშია ერთი საწოლი კრაოტი თავის ქვეშ-საგებით და ერთი ჭამის იარაღი. ცოლ-ქმარნი იძულებულნი არიან, ერთი ჯამიდგან მიიღონ საჭმელი და ერთი სასასმოდან სვან, ერთ კრაოტზე იწვენ და ერთ საბან ქვეშ ეძინოთ. ამ მდგომარეობაში უნდა გაატარონ წაკიდებულ ცოლ-ქმარმა ორი კვირა. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ამ ორი კვირის შემდეგ ეს პირნი განაცხადებენ სურვილს ერთად ცხოვრებისას და შეტანილ ქაღალდს უკან იბრუნებენ.

სწორეთ კარგი საშუალება სცოდნიათ!...

*
* *

## კაცის მჭამლების თავზედ დაცემა.

ერთ ლონდონის გაზეთს შეუტყვია, რომ აფრიკის ქვეყანაში ევროპიელებს დასცემიან კაცის მჭამლები—აფრიკელები, დაუკლავთ ისინი, შეუწვავთ და მთლად შეუჭამიათ ყველანი, ვინც შეხვედრიათ მათ გზაში.

*
* *

## არწივისაგან მოტაცებული ბავში.

ამას წინეთ კანადის ერთ სოფელში არწივმა მოიტაცა ორი წლის ბავში და აიტანა კაი სიმაღლეზე. ბავში დედას უშვერდა თავის ხელებს და შემწეობას სთხოვდა. დედა ყველა ახლო მეზობლებს სთხოვდა, რომ თოფი ესროლათ არწივისათვის; დედის თხოვნით მეზობლებმა ესროლეს ბევრ-ჯელ, მაგრამ არწივს ტყვია ვერ მოარტყეს. ბოლოს არწივი დაჯდა ბელლის სართულზე და ბავშს დაუწყო თავში კორტნა. ხალხი შეიკრიბა, და როცა არწივი შეაშინეს და გააფრინეს, ყმაწვილი მკვდარი იყო, რადგან მტაცებელ ფრინველს ამოეჭამა ბავშისათვის ნახევარი ტვინი.

## შეცდომის გასწორება.

მე 22 №-ში შეცდომით მოხდა დაბეჭდვა კვირიაკეთა, ხმათა და საცისკრო სახარებათა, ამა წლის მაგიერ სხვა ძველის.

# განცხადებანი.


## სასწავლებელი და პანსიონი

ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტის მასწავლებლის

## გ. ნ. იოსელიანისა.

მთავრობის ნება-დართვით გაიხსნა ახალი სასწავლებელი და პანსიონი მოსამზადებლად უმაწვილთა გიმნაზიების, რეალურ სასწავლებლებისა და კადეტის კორპუსების პირველ კლასებისათვის, რასაც ვაუწყებთ ყველას, ვინც საჭიროებს უმაწვილების მომზადებას.

ადრესი: ქ. თბილისში, მიხეილის ქუჩა. სახლის № 18.

გ. იოსელიანი.

(6—1)



## ლოცვანი

საჭირო და სასარგებლო ყოველ მართლ-მადიდებელ აღმსარებელ პირთათვის, შედგენილი მღ. დ. ღამბაშიძის მიერ.

ამ ლოცვნით ყველას შეუძლია ისარგებლოს: როგორც მოსწავლეებს, ისე სხვა პირებს, დიდებს და პატარებს, ვინც კი კითხვა იცის, სამღვდელოს და საეროს.

ფასი ლოცვნისა გაგზავნით და გაუგზავნელად ყველგან ექვსი შაური.

მშვენიერ ყდაში გაკეთებული ლოცვნის ფასი არის ცხრა შაური.

ლოცვნების ყიდვა შეიძლება:

ქუთაისში: ჭილაძის და მურადოვის წიგნის მაღაზიებში და პეტროვის ბიბლიოთეკაში.

თფილისში: ჩარკვიანის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში.

ვინც „მწყემსის" რედაქციიდამ დაიბარებს არა ნაკლებ ორმოცდა ათი ეკზემპლიარისა, მას მანეთზედ დაეთმობა ხუთი კაპეიკი.



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ЖУРНАЛЪ

## „СТРАННИКЪ"

на 1886 годъ.

**(ШЕСТОЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ ПОДЪ НОВОЮ РЕДАКЦІЕЙ).**

Журналъ «Странникъ» съ октября 1880 года издается новою редакціей и по новой программѣ.—Въ минувшемъ 1885 году въ отдѣлахъ *богословскаго, философскаго, церковно историческаго, литературнаго* и *публицистическаго* содержанія были напечатаны, между прочимъ, слѣдующія статьи: **Сущность Христіанства** какъ союза Бога съ человѣкомъ. Епископа *Никанора.*—**Христіанство и наука.** *Его-же.*—**Судъ Церкви и въ Церкви.** *Его-же.*—**Разности въ ученіи о Церкви** у православныхъ и папистовъ. Прот. *А. А. Лебедева.*—**Невидимый міръ.** Новая постановка вопроса объ отношеніи между вѣрою и знаніемъ. *А. П. Лопухина.*— **О народномъ образованіи** въ древней Руси. Свящ. *Маркова.*—**Русскій Патріархъ** въ ежедневной придворной жизни и въ высшемъ государственномъ управленіи. *И. Ф—ва.*—**Преосвященный Иринархъ.** *М. А. Куплетскаго.*—**Арсеній Мацѣевичъ** и его дѣло. *И. Я. Морошкина.*—**Іезуиты въ Константинополѣ** въ XVI—XVII вв. *С. Четыркина.*—**Православіе въ остзейскомъ краѣ** въ текущемъ столѣтіи. *М. А. Куплетскаго.* — **Ревизія въ остзейскомъ краѣ** въ заграничной нѣмецкой характеристикѣ. *Его-же.* — **Изъ Путешествія въ св. землю.** Прот. *Ковальницкаго.*—**Правда противъ хулы** (въ защиту митроп. Серафима). Епископа *Никанора.*—Цѣлый рядъ статей (между прочимъ вся апрѣльская книга) былъ посвященъ **памяти св. Кирилла и Меѳодія** и между ними были поученія еп. *Никанора*, покойн. архіеп. *Тихона*, статьи св. *Маркова*, проф. *Будиловичи*, *А. И. Пономарева Лебедева*, *Кочановскаго* и др. Повѣсти разсказы **Псальтырникъ.** *И. Гр. Наумовича.*—**Наканунѣ Рождества.**—*Историческій разсказъ Х.*—**Гдѣ уродился тамъ и пригодился.** Памяти мужицкаго-пѣвца дьячка. *Н. Попова.*—**По окончаніи курса.** Изъ разсказовъ стараго священника. *П. Соловьева.* — Кромѣ этихъ статей, въ журналѣ ежемѣсячно велись отдѣлы: *Внутреннее обо-*

*зрѣніе, Епархіальная Хроника, Церковная жизнь на западѣ* (у католиковъ и протестантовъ) *и у Славянъ* (Австро-Венгріи и въ земляхъ славянскихъ), *Обзоръ Журналовъ*, Критическіе и библіографическіе отчеты о важнѣйшихъ явленіяхъ церковной и церковно-богословской литературы, *Книжная лѣтопись, Церковно-оффиціальная Хроника, Извѣстія и замѣтки.*

Журналъ выходитъ ежемѣсячно, книгами отъ 10 до 12 и болѣе листовъ. Подписная плата: съ пересылкою въ Россіи и доставкою въ С.-Петербургѣ ШЕСТЬ РУБЛЕЙ; съ пересылкою заграницу восемь рублей. Адресоваться: въ редакцію журнала «Странникъ», въ С.-Петербургѣ (Невскій просп., д. № 167).

Редакторы-издатели: А. Васильковъ.—А. Пономаревъ

## ОБЪ ИЗДАНІИ
### НОВАГО ИЛЛЮСТРИРОВАННАГО ЖУРНАЛА
# „РУССКІЙ ПАЛОМНИКЪ“.
### въ 1886 году.

Съ 1-го сентября 1885 года выходитъ въ свѣтъ, еженедѣльными выпусками, новое иллюстрированное изданіе подъ названіемъ «РУССКІЙ ПАЛОМНИКЪ».

**Программа его слѣдующая:**

*I. Литературный отдѣлъ:*

1) Путешествія ко св. мѣстамъ Палестины.

2) Путешествія къ русскимъ и заграничнымъ святынямъ.

3) Описаніе православныхъ обителей и храмовъ.

4) Описаніе церковныхъ древностей.

5) Историко-этнографическіе очерки.

6) Жизнеописанія знаменитыхъ подвижниковъ и дѣятелей во всѣ времена историческаго бытія православной церкви.

7) Біографическіе очерки современныхъ дѣятелей на поприщѣ религіозно-нравственнаго просвѣщенія, проповѣди Слова Божія, миссіонерства, богословской науки и благотворительности.

8) Разсказы и повѣствованія религіозно-нравственнаго содержанія.

9) Факты и явленія религіозно-нравственной и патріотической жизни русскаго народа.

10) Очерки изъ религіозной жизни иновѣрныхъ народовъ и сектантовъ.

*II. Иллюстраціи.*

1) Изображенія св. мѣстъ, обителей и храмовъ, отечественныхъ и заграничныхъ.

2) Изображенія св. мужей и женъ церковно-христіанской древности.

3) Портреты преосвященныхъ архипастырей и выдающихся пастырей православной церкви, равно какъ тружениковъ на всѣхъ поприщахъ христіанской жизни и дѣятельности, какъ-то: проповѣдниковъ, миссіонеровъ, духовныхъ писателей, дѣятелей духовной науки, руководителей образованіемъ духовнаго юношества, просвѣтителей народа и т. д.

4) Снимки съ художественныхъ произведеній знаменитыхъ мастеровъ христіанскаго искусства русскихъ и иностранныхъ.

5) Снимки съ изображеній священной старины, копіи съ древнихъ рукописей и книгъ.

*III. Извѣщенія, объявленія и отдѣльныя приложенія къ журналу.*

Изданіемъ «РУССКАГО ПАЛОМНИКА» предполагается, съ одной стороны, заполнить существующій въ области иллюстрированныхъ изданій пробѣлъ, такъ какъ въ числѣ ихъ нѣтъ ни одного, которое бы постоянно и систематически представляло описаніе и художественное изображеніе предметовъ, дорогихъ для христіанина и удовлетворяющихъ его нравственно-религіозному чувству,—съ другой, дать сколько полезное въ образовательномъ смыслѣ, столько-же и назидательное чтеніе для всѣхъ вообще любителей духовнаго просвѣщенія, для благочестивыхъ русскихъ семействъ, для православнаго русскаго духовенства, и наконецъ для учебныхъ заведеній среднихъ и низшихъ, съ православно-русскимъ характеромъ, включая сюда вновь открываемыя церковно-приходскія школы.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годъ пять рублей, на полгода три рубля съ доставкою и пересылкою. Желающіе получить вышедшіе нумера «РУССКАГО ПАЛОМНИКА», съ 1-го сентября по 31-го декабря текущаго 1885 года платятъ два рубля.

Адресъ редакціи «РУССКАГО ПАЛОМНИКА»: С.-Петербургъ, Владимирскій проспектъ, домъ № 13.

Редакторъ-Издатель А. И. Поповицкій.


## ВЕСЬМА ПОДРОБНАЯ,
# НА ДВУХЪ БОЛЬШИХЪ ЛИСТАХЪ,

**КАРТА БАЛКАНСКАГО ПОЛУОСТРОВА** Н.И. Зуева (карта славянскихъ земель: *Болгаріи* съ *Румеліей, Сербіи, Румыніи, Босніи, Герцеговины, Черногоріи, Македоніи, Албаніи,* а также части *Греческаго Королевства* и *Австро Венгріи).* Величина ея 18 вершк. въ длину и 15 вершк. въ ширину. Цѣна *1 р.*, а съ пересылкою во всѣ города *1 р. 10 к.* Она заключаетъ въ себѣ до семи тысячъ надписей.

*Адресъ:* Чиновнику Особыхъ Порученій при Министрѣ Внутреннихъ Дѣлъ Ник. Ив. Зуеву.

# მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

# „მწყემსზედ"

## და „მწყემსი"-ს რუსულ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1 შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2 გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3 გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4 აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი «მწყემსი» გამოვა თვეში სამჯერ, თორთმეტი გვერდი და ხანდისხან თექვსმეტიც.

რუსული დამატება „მწყემსი"-სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა თვეში ორჯერ, ორ ფურცლამდე თითო ნომერი.

„მწყემსი" მთელი წლის გაგზავნით—**ხუთი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**სამი მანეთი.**

„მწყემსი"-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა **ექვსი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ოთხი მანეთი.**

ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა—**სამი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ორი მანეთი.**

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: **Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ" (пастырь).** ყვირილაში, „მწყემსი"-ს რედაქციაში.

---

**შინაარსი:** საქართველოს საექსარხოსოში ახალი ძმობის დაარსების შესახებ.—წერილი რედაქტორთან.—ლეჩხუმიდამ.—რაჭიდამ.—სხვა-და-სხვა ამაო მორწმუნებანი.—ახალ-სენაკიდამ (ივერიიდამ).—საისტორიო მასალები.—სხვა და-სხვა ამბები და შენიშვნები.—ნარევი.—მღვდელთა საყურადღებოდ.—განცხადებანი.

---

*Доз. цензурою Кутаисъ, 29 Ноября 1885 г.*
რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.
მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.